სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

კერძო სამართალი

კაზუსების ამოხსნისას დასაშვებია საქართველოს სამოქალაქო კოდექსისა და საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის გამოყენება.

კაზუსი №1

გიორგი ქ. თბილისში ფლობს საცხოვრებელ ბინას, რომელიც 2022 წლის 16 ოქტომბერს ბებიისაგან, მამის დედისგან, ანდერძით მიიღო. გიორგის მამა და ორი მამიდა ცოცხალია. გიორგის მამიდებმა და მამამ სარჩელი აღძრა გიორგის წინააღმდეგ და მოითხოვა სავალდებულო წილის მიკუთვნება 2023 წლის 14 მაისს. სასამართლო წარმოების პროცესში, 2023 წელს 8 ივლისს გიორგიმ მეზობელთან, ნიკასთან დადო ქირავნობის ხელშეკრულება ერთი წლის ვადით, რომლის თანახმადაც ნიკა ვალდებული იყო ყოველთვიურად გადაეხადა 1000 აშშ დოლარი ქირის სახით. ქირავნობის ხელშეკრულება არ ყოფილა რეგისტრირებული საჯარო რეესტრში და საკადასტრო კოდზე არ აღრიცხულა ქირავნობა როგორც ვალდებულება საჯარო რეესტრის ამონაწერში. ნიკამ 8 თვის განმავლობაში გადაიხადა ქირა, მაგრამ შემდეგ გადახდა შეწყვიტა და ბინაში კვლავ ცხოვრობს. გიორგიმ 2024 წლისს ივლისში გიორგიმ აღძრა სარჩელი ნიკას წინააღმდეგ.
2024 წლის დეკემბერს, გიორგიმ ბინა გაყიდა ეკატერინეზე, რომელიც საჯარო რეესტრში დარეგისტრირდა როგორც ახალი მესაკუთრე. ეკატერინემ ნიკას სთხოვს ბინის გათავისუფლება, თუმცა ნიკა უარს ამბობს, იმ მოტივით, რომ მას ჯერ კიდევ მოქმედი ქირავნობის ხელშეკრულება აქვს გიორგისთან.
გთხოვთ, გააანალიზოთ მოცემული დავის თითოეული მხარის მოთხოვნა. მიუთითეთ, რა სამართლებრივი შედეგები შეიძლება დადგეს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად თითოეული მხარის მიმართ. გამოავლინეთ პრობლემური საკითხები და განიხილეთ მათი გადაჭრის შესაძლო გზები?

კაზუსი №2

ეკატერინემ სარჩელით მიმართავს სასამართლოს და ითხოვს, რომ ყოფილმა მეუღლემ, დავითმა, უზრუნველყოს ალიმენტის გადახდა მათი საერთო არასრულწლოვანი შვილის სასარგებლოდ. სარჩელი შეტანილია დავითის რეგისტრაციის ადგილმდებარეობის მიხედვით, ქუთაისის საქალაქო სასამართლოში.
სასამართლო სარჩელი მიიღო წარმოებაში და გაუგზავნა სარჩელის ასლი მოპასუხე მხარეს. დავითი სასამართლოს მიმართავს შუამდგომლობით, რომ საქმე არ განიხილოს, რადგან ანას სარჩელი შეტანილი ჰქონდა ბავშვის ფაქტობრივი საცხოვრებელი ადგილის მხიედვით აბაშის რაიონულ სასამართლოში იმავე საფუძვლითა და იმავე მოთხოვნით. სასამართლომ არ დააკმაყოფილა დავითის მოთხოვნა და საქმე გადაგზავნა აბაშის რაიონულ სასამართლოში. აბაშის რაიონულმა სასამარტლომ საქმის წარმოება შეწყვიტა, და საფუძვლად დაუდო ის, რომ ქუთაისის საქალაქო სასამართლოს ჰქონდა სამქე მიღებული წარმოებაში და სარჩელი განუხილველად დატოვა, ასევე მიუთითა ანას, რომ მას ჰქონდა უფლება მიემართა სასამრთლოსთვის იმავე მოთხოვნითა და იმავე საფუძვლით ხელმეორედ განჩინების გამოტანიდან 10 დღის ვადაში.

ანამ სარჩელი ისევ შეიტანა აბაშის რაიონულ სასამართლოში. აბაშის რაიონულმა სასამართლომ დაუდგინა ხარვეზი ანას, რადგან მას არ ჰქონდა ბაჟი გადახდილი. ანამ გადაიხადა ბაჟი. სასამართლოს მოსამზადებელ სხდომაზე დავითმა მოითხოვა საქმის შეჩერებას, რადგან ის ვერ ახერხებდა სასამართლოზე დასწრებას, რამეთუ საკონტრაქტო სამხედრო სამსახურის საფუძველზე ის მიდიოდა ავღანეთში მშვიდობისმყოფელად. სასამართლომ არ დააკმაყოფილა მოთხოვნა და საქმე მომზადებულად ჩათვალა, ასევე ჩანიშნა მთავარი სხდომა.

იმსჯელე თითოეული მხარის მოთხოვნებისა და სასამართლოს მიერ განხორციელებულ საპროცესო ქმედებათა კანონიერებაზე.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

სისხლის სამართალი

კაზუსების ამოხსნისას დასაშვებია საქართველოს სისხლის სამართლის კოდექსისა და სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის გამოყენება.

კაზუსი №1

2018 წლის 10 თებერვალს, საღამოს საათებში, გიორგი მივიდა თავის კუთვნილ მეორადი მობილური ტელეფონების მაღაზიაში, სადაც დახვდნენ თანამშრომელი ლევანი და ლევანის მეგობარი ლუკა. ამ უკანასკნელმა გიორგის უთხრა, რომ სურდა iPhone 7 მოდელის მობილური ტელეფონის შეძენა, ხოლო თანხას გადაუხდიდა მეორე დღეს, რაზეც გიორგიმ უარი განუცხადა. მეორე დღეს, ლუკა კვლავ მივიდა მაღაზიაში და მოითხოვა ტელეფონი ყუთით. გიორგიმ მას აჩვენა iPhone 7 მოდელის მობილური ტელეფონი. ლუკამ განუცხადა, რომ მეზობლად მდებარე მაღაზიაში მუშაობდა მისი ნაცნობი, რომელთანაც უნდა შეემოწმებინა ტელეფონი. გიორგი თავადაც გაჰყვა მას. როდესაც ტელეფონი შესამოწმებლად მიიტანეს, ხელოსანმა ლუკას უთხრა, რომ იგი კარგ მდგომარეობაში იყო. ამის შემდეგ, ლუკამ გიორგის უთხრა, რომ როგორც შეთანხმდნენ, თანხას – 1000 ლარს ბანკომატის მეშვეობით გამოიტანდა და მისცემდა. გიორგი და ლუკა ერთად წავიდნენ ბანკის მიმართულებით. გზაში ლუკამ განუცხადა, რომ მისი მეგობრის მამა ცხოვრობდა იქვე და მას გამოართმევდა ფულს, ამიტომ სხვა მიმართულებით განაგრძეს სიარული, თუმცა, ერთ კონკრეტულ ადგილზე, ლუკამ გიორგის უთხრა, რომ დაბრუნებულიყო მაღაზიაში და ფულს მოგვიანებით მიუტანდა, რაზეც გიორგი არ დათანხმდა, უთხრა, რომ ან სასწრაფოდ დაებრუნებინა მისთვის ტელეფონი ან გადაეხადა ტელეფონის ღირებულება. ამ დროისათვის ლუკას მობილური ტელეფონი ხელში ეჭირა, ხოლო ტელეფონის ყუთი ჯიბეში ედო. ლუკამ გიორგის უთხრა, რომ ნივთი მისი იყო, ყუთიც მას ჰქონდა და უკან არ დაუბრუნებდა. ამ სიტყვების შემდეგ ლუკა აუჩქარებლად, დინჯად წავიდა და დატოვა გიორგი. გიორგის იმ მომენტში არაფერი მოუმოქმედებია, ვინაიდან გაუჩნდა შიშის გრძნობა. კერძოდ, ეს შიში გამოწვეული იყო იმით, რომ წინა დღეს, 2018 წლის 10 თებერვალს, მაღაზიაში ყოფნისას, ლუკას თან ჰქონდა დანა, რომლის დემონსტრირებაც მოახდინა გიორგის დასანახად. 11 თებერვალს კი გიორგიმ შენიშნა, რომ ლუკას თან ჰქონდა შავი ფერის ნივთი, მაგრამ სასამართლოში ჩვენების მიცემისას ზუსტად ვერ მიუთითა, აღნიშნული იყო თუ არა დანა. გიორგიმ განმარტა, რომ ნერვიულობის ფონზე ეს ნივთი დანად აღიქვა. ამის გამო, მან ვერაფერი მოიმოქმედა, უყურებდა როგორ მშვიდად მიდიოდა ლუკა, თავად კი მოგვიანებით, იმავე დღეს, მიმართა პოლიციას.

დააკვალიფიცირეთ ლუკას ქმედება. პასუხი დაასაბუთეთ.

კაზუსი №2

პირის ბრალდების შესახებ დადგენილებით ლევანი ცნობილ იქნა ბრალდებულად საქართველოს სსკ-ის 108-ე მუხლით (განზრახ მკვლელობა) გათვალისწინებული დანაშაულის ჩადენისათვის. 2024 წლის 1 ოქტომბერს, საქმის სასამართლოში განხილვის ეტაპზე, ბრალდებული ლევანი გარდაიცვალა.

გამომძიებელმა სასამართლოს მიმართა შუამდგომლობით და მოითხოვა ლევანის მიმართ სისხლისსამართლებრივი დევნის შეწყვეტა. ლევანის ადვოკატი არ დაეთანხმა შუამდგომლობას და მოითხოვა საქმის განხილვის გაგრძელება. მოსამართლემ განმარტა, რომ ვინაიდან არსებობდა დევნის შეწყვეტის საფუძველი – გარდაცვალება და ამის შესახებ მხარე შუამდგომლობდა, იგი ვალდებული იყო შეეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა. შესაბამისად, სასამართლომ დააკმაყოფილა შუამდგომლობა და შეწყვიტა სისხლისსამართლებრივი დევნა. ადვოკატმა მოსამართლის განჩინება გაასაჩივრა სააპელაციო სასამართლოში. სააპელაციო სასამართლომ განიხილა ადვოკატის საჩივარი და უცვლელად დატოვა გასაჩივრებული განჩინება. დაცვის მხარემ სააპელაციო სასამართლოს განჩინება გაასაჩივრა საქართველოს უზენაეს სასამართლოში და მოითხოვა გასაჩივრებული განჩინების გაუქმება. უზენაესმა სასამართლომ დააკმაყოფილა დაცვის მხარის საჩივარი, გააუქმა სააპელაციო სასამართლოს განჩინება და საქმე არსებითად განსახილევლად დაუბრუნა პირველი ინსტანციის სასამართლოს.

შეაფასეთ ბრალდებისა და დაცვის მხარეების, აგრეთვე, სასამართლოს ქმედებების სისწორე.

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

ადმინისტრაციული სამართალი

კაზუსების ამოხსნისას დასაშვებია საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსისა და ადმინისტრაციული საპროცესო კოდექსის გამოყენება.

კაზუსი №1

გიორგი გელაშვილმა მიმართა სს „საქართველოს ბანკს“ შეღავათიანი აგრო-სესხის მისაღებად პროგრამა „აწარმოე საქართველოში“-ს ფარგლებში. შესაბამისი ინსტრუქციის თანახმად, სესხის ოდენობა განისაზღვრება სასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ფართობის მიხედვით. განაცხადის დამუშავებისას ბანკის თანამშრომელმა შეცდომით არასწორად შეიყვანა მიწის ფართობის მონაცემი, რის გამოც გელაშვილმა მიიღო რეალურად მისთვის განკუთვნულზე 30 000 ლარით მეტი სესხი.
რამდენიმე წლის შემდეგ აუდიტმა გამოავლინა ეს შეცდომა. ამ დროისთვის გელაშვილს უკვე გაშენებული ჰქონდა ვაშლის ბაღი და პროექტი დასრულებული იყო.

1. როგორია სესხის გაცემის დამადასტურებელი დოკუმენტის სამართლებრივი ბუნება – კერძო თუ ადმინისტრაციულ-სამართლებრივი აქტი?
2. შესაძლებელია თუ არა მისი ბათილად გამოცხადება ადმინისტრაციული სამართლის წესით?
3. რა პირობებში შეიძლება ბანკმა მოითხოვოს ზედმეტად გაცემული თანხის დაბრუნება?
4. როგორ უნდა გადაწყვიტოს სასამართლომ ეს დავა?

კაზუსი №2

ანა მიქელაძემ მონაწილეობა მიიღო სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტის მიერ გამოცხადებულ კონკურსში დამხმარე სტრუქტურული ერთეულის თანამდებობაზე. კონკურსის შედეგად კომისიამ მიქელაძე უარყო.
მიქელაძემ სარჩელით მიმართა სასამართლოს და მოითხოვა კონკურსის კომისიის გადაწყვეტილების ბათილად ცნობა. უნივერსიტეტი მიუთითებს, რომ „უმაღლესი განათლების შესახებ“ კანონის მიხედვით, დამხმარე პერსონალის მიღება ხდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელის შრომითი კონტრაქტის საფუძველზე და არ მოითხოვს ადმინისტრაციულ წარმოებას.

1. არის თუ არა უნივერსიტეტსა და კანდიდატს შორის წარმოქმნილი დავა ადმინისტრაციულ-სამართლებრივი?
2. შეიძლება თუ არა საკონკურსო კომისიის გადაწყვეტილება ჩაითვალოს ინდივიდუალურ ადმინისტრაციულ-სამართლებრივ აქტად?
3. რა კრიტერიუმებით განსაზღვრავს სასამართლო სარჩელის დასაშვებლობას?
4. როგორია მოსამართლის შესაძლო გადაწყვეტილება აღნიშნულ საქმეზე?

სულხან-საბა ორბელიანის უნივერსიტეტი

საკონსტიტუციო სამართალი

კაზუსების ამოხსნისას დასაშვებია საქართველოს კონსტიტუციის გამოყენება

კაზუსი №1

საქართველოს ეროვნული ბანკის საბჭოს წევრთა კანინდატურები საქართველოს ეკონომიკისა და მდგრადი განვითარების მინისტრმა დასამატკიცებლად პარლამენტს წარუდგინა. პარლამენტმა დამსწრეთა უმრავლესობით დაამტკიცა წარმოდგენილი კანდიდატები (სხდომას 70 წევრი ესწრებოდა).
საქართველოს პრემიერ-მინისტრი ეწინააღმდეგება ამ გადაწყვეტილებას, ამიტომაც მიმართა საქართველოს საკონსტიტუციო სასამართლოს და მოითხოვა პარლამენტის კენჭისყრის შედეგების არაკონსტიტუციურად ცნობა. საკონსტიტუციო სასამართლომ დავა წარმოებაში მიიღო, თუმცა პრემიერ-მინისტრის მოთხოვნა არ დააკმაყოფილა.
საკონსტიტუციო სასამართლოს გადაწყვეტილებით უკმაყოფილო მთავრობამ უფლებამოსილების ვადის გასაგრძელებლად აღარ წარადგინა საკონსტიტუციო სასამართლოს წევრები, რომელთაც უფლებამოსილება ეწურებოდათ.
შეაფასეთ შემთხვევა.

კაზუსი №2

საზოგადოებრივი მაუწყებლის სამეთვალყურეო საბჭომ მიიღო დადგენილება, რომლის თანახმადაც, 22:00 სთ-ის შემდეგ მაუწყებლის ეთერში გადაცემული ნებისმიერი მხატვრული ფილმი უნდა იქნეს ნაჩვენები ორიგინალში ქართული სუბტიტრებით.
საქართველოს მოქალაქე დიმიტრი ბერძენიშვილს მიაჩნია, რომ საზოგადოებრივი მაუწყებელი ქართულ ენაზე უნდა აჩვენებდეს ფილმებს და ამით მისი უფლებები ირღვევა.
განსაზღვრეთ, რომელი ძირითადი უფლებით დაცული სფერო და თანაზომიერების პრინციპის გამოყენებით შეაფასეთ შემთხვევა.